საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

N 14/2444
15/01/2015

2444-14-2-201501151717

,,საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS)“ დირექტორს
ბატონ სერგი კაპანაძეს
მის: ქ.თბილისი, მიცკევიჩის #27, ბ.1

ტელ: 598809512

ბატონო სერგი,

თქვენი 2014 წლის 29 დეკემბრის #851 წერილის პახუხად, გაცნობებთ, რომ „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში“ შეტანილი ცვლილების (საქართველოს 2014 წლის 12 დეკემბრის N2935-Iს კანონი) მიზანია საჯარო ფინანსების მართვის ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით სახელმწიფო ფინანსების აღრიცხვის გაუმჯობესება, საჯარო ფინანსების უკეთესი კონსოლიდირება და საბიუჯეტო პროცესის მეტი გამჭვირვალობის მიღწევა. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში 2015 წლის 1 იანვრიდან ყველა დონის ბიუჯეტი და ყველა საბიუჯეტო ორგანიზაცია სრულყოფილად არის მოქცეული ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში. სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში მოქცეულია ყველა დონის ბიუჯეტების შემოსულობები და გადასახდელები. შედეგად გაიზრდება აღრიცხვიანობისა და სახელმწიფო ფინანსების კონსოლიდირებული ანგარიშგების ხარისხი და უზრუნველყოფილი იქნება საჯარო ფინანსების მართვის ეფექტურობა.

სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები წარმოადგენს სხვადასხვა დონორ ორგანიზაციებთან, საბიუჯეტო დახმარების ნაწილში არსებული რეფორმების სამოქმედო გეგმის (მატრიცის) და მათგან გამომდინარე ვალდებულებების ნაწილს. მსგავსი სამოქმედო გეგმები არსებობს ევროკავშირთან, მსოფლიო ბანკთან და აზიის განვითარების ბანკთან არსებული თანამშრომლობის ფარგლებში.

ევროკავშირთან საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის (PFM III) ფარგლებში არსებული საბიუჯეტო დახმარების სამოქმედო გეგმის შესაბამისად ყოველწლიურად მტკიცდება საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია 2014 წელს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ხაზინის ერთიან ანგარიშზე გადმოყვანა და მათი

საბიუჯეტო პროცესების სახელმწიფო ფინანსების მართვის ელექტრონულ სისტემის მეშვეობით მართვა.
მატრიცით გათვალისწინებულ ვალდებულებას ასევე წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირების შემოსულობების და გადასახდელების ბაზის შექმნა სახელმწიფო ფინანსების მართვის ელექტრონულ სისტემაში.

გარდა ამისა, მსოფლიო ბანკთან და აზიის განვითარების ბანკთან არსებული სამოქმედო გეგმები ითვალისწინებს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების ვალდებულებას, რათა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების საბიუჯეტო პროცესების მართვა განხორციელდეს საჯარო ფინანსების მართვის (ელექტრონული) სისტემის მეშვეობით.

პატივისცემით,

ეკატერინე ყაველაშვილი

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური